



დროება

ვანი განცხადების; ცხელი წყლით სსოზე—1 კაპ., მსოფლიო სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკლონი—5 კაპ., პატარაით—4 კაპ.

კრედიტია: სოლოლოკში, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.
ხელის-მოსწარმ მიიღება რედაქციის ბარეზე მცხოვრებთათვის: *Въ редакцію газ. „Дროება“*
გაზეთის ვასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., მის თვისა—3 მან., ერთის თვისა—1 მან.
სალკე ნომერი ღირს შაურად.

კრედიტის უზღუბა აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბუღად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ავალდების დღეასწავლის გამო, ხვალ, პარასკევს, გაზეთი არ გადმოვა.

მა 1879 წელს გაზეთი „დროება“

ბამოღის მუღამ დღე დამიწვე მიმართულლებითა და პრაგრამით, პროკურატორის გამოღიოდა.

ხელის-მოსწარმ
თფილისში მიიღება რედაქციის ბაღის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლში, № 33.

შალკეს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: *Въ редакцію газ. „Дროება“*

გაზეთის ვასი
მთელის წლისა — — 8 მან.
ქვესის თვისა — — 5 მან.
სამის თვისა — — 3 „
ერთის თვისა — — 1 „

პირველი მარტიდან წლის დამლევაში 6 (მამნი) მან.

შული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

სამართველო

მუთაისის ბანკის კრება 28 აპრილს.

მის. დარახველიძე. ბანკი ჩვენი დაფუძნებულია, აზნაურობის. ბანკის ფული ჩვენი საკუთრებაა და ჩვენი ინტერესებისათვის უნდა მოვიხმაროთ. გვეუბნებით, ქალების გიმნაზიას ფული შევავსოთ, შკოლა გავსწავლოთ და იმ საზოგადოებას გადავსცეთ, იმ საზოგადოებას ფული მივსცეთ, მაგრამ როგორც ვხედავთ ქალების გიმნაზიაში მარტო აზნაურობის შეილება არ იზრდებოდა, სხვებიც არიან იქ; მთილისის საზოგადოებას მარტო აზნაურობის შეილება არა ჰყავს სახეში, სხვაცა ჰყავს, სხვაზედაც იზრუნებს. აქედან გამოდის, რომ ჩვენი ფული, რომელსაც იმ საზოგადოებასა და ქალების გიმნაზიას შევწირავთ სხვაზედაც დაიხარჯება და პირ-და-პირ ჩვენი შეილების საქმეს არ ემსახურება. შკოლა თუ იქნება, უნდა იქნეს ისე, რომ აზნაურობას ემსახუროს. მაგრამ ჩემი აზრია ფულებს ხელი მოეუჭიროთ, შევინახოთ და როცა კარგ სარგებელს მოგვეცემს, მაშინ დავხარჯოთ ეს სარგებე-

ლი კეთილ საქმეზე, მკრი წლით მაინც შევაჩეროთ შკოლის საქმე.

შ. ნიკ. შიფთანს ჰსურს პასუხი მიპსცეს უ. დარახველიძეს, მაგრამ თავმჯდომარე ნებანს არ აძლევს: შულების შენახვაზე გუშინაც ილაპარაკა უ. დარახველიძემ და სხვებმაც; ერთსა და იმასვე ამბობთ, ახალს არაფერს და ამიტომ დაანებეთ ლაპარაკს თავიო.

თავ. ბახუა შადვა. შკოლის გახსნა კაი საქმეა. უნდა გავხსნათ შკოლა. მაგრამ აქ ერთი გარემოებაა: მუთაისის გუბერნიაში შეიღი მარაა და ყველამ უნდა ისარგებლოს ამ შკოლით. ამიტომ საჭიროა ყველა მარგებიდან თანასწორათ შევიდეს შკოლაში ყმაწვილები.

სტეჟა ეს თ. შადვა, მიიხედა, უკან საცა იჯდნენ მრავალნი სამეგრელოს თავად-აზნაურნი, აუქნია ხელი და ჰკითხა მათ:

— ხომ ასეა?
— ასეა, ასე!

იგრილა ყველა სამეგრელოს წარმომადგენლებმა და მათ თან მიჰყვენ მუთაისის მარის თავად-აზნაურნი თავადის მერაბ ლორთქიფანიძის წინამძღოლობით.

თავმჯდომარე. როგორ ინებებთ: მარტო ეს შკოლა გავხსნევიოთ მთილისის საზოგადოებას და ამისთვის მივსცეთ ფული, თუ შკოლისთვისაც მივსცეთ ფული და ამას გარდა კიდევ სხვა ფული შევსწიროთ მას მისი მიზნისათვის?

ბიდეე გაცხარებული ბაასია შკოლაზე და მთილისის საზოგადოების შემწეობაზე. მითქმის ყველა იმ აზრისა, რომ ბანკის ფულით მარტო ბანკის დამაფუძნებლები სარგებლობდნენ და არა სხვები. ამის წინააღმდეგი ვინც რამე ჰსთქვა, გააბრაზა საზოგადოება.

მარდა თავად ბ. შადვისა სამეგრელოს წარმომადგენელთაგან ორატორობა თავადი მელიტონ დადიანი. ამის აზრია ბანკის ფულით იზრდებოდნენ ბანკის დამაფუძნებელ აზნაურობის შეილები და იმ ღარიბ აზნაურებისა, რომელთაც გლეხები არ ჰყოლიათ და არც ბანკის დასაწყებლათ ფული შემოაუტანიათ; იმ მდიდრების შეილები კი არ მიიღებოდნენ, რომელთაც გაიტანეს ფული და არაფერი დასტრევეს ბანკის საფუძვლათო.

ბოლოს, როგორც იყო, თანხმობა მოჰხდა და გადასწყვიტეს:

დაწესდეს შკოლა აზნაურობის შეილებისათვის, რომელშიაც მიღებულ იქმნენ ყმაწვილები სხვა და სხვა მარგების მცხოვრებთ რიცხვის შესაფერათ; ამ შკო-

ლისათვის გადიღვას რვა ათასი მანეთი (ხლო და ყოველ წლით ექვსეკესი ათასიო.

თავადი მელიტონ დადიანის და უ. დარახველიძის ჰაზრი იყო კომისიის დანიშვნა ცალკე საზოგადოების შესადგენათ, რომელსაც უნდა ეზრუნა ამ შკოლაზე. გადასწყვიტეს, რომ მთხოვონ მთილისის საზოგადოებას, რომელსაც მიზნათა აქვს წერა-კითხვის და პირველდაწყებითი სწავლის გავრცელება ქართველებში, მიიღოს თავის თავზე ამ შკოლის გახსნა, და თუ ის საზოგადოება უარს იტყვის, შედამხედველმა კომიტეტმა შეადგინოს კომისია, რომელშიაც იზრუნოს ცალკე საზოგადოების შესადგენათ და რომელშიაც უნდა უპატრონოს შკოლას.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ დაადგინა კითხვა ზევით ნახსენებ საზოგადოების შემწეობაზე. კომიტეტის აზრი იყო, შეეწირათ ხუთი ათასი მანეთი.

თავმჯდომარე. ამ საზოგადოებას დიდებული მიზანი აქვს; მან უნდა აერცელოს ქართველებს შორის წერა-კითხვა და პირველდაწყებითი სწავლა ქართულს ენაზე. სამოქმედო ასპარეზი ამ საზოგადოებისა არის არა მარტო მთილისის გუბერნია, მარტო ამერეთი კი არა, იმერეთიც (სამეგრელო, ზურია, საკუთრად იმერეთი და სხვა).

ბევრი წარჩინებული პირი იღებს მონაწილეობას ამ საზოგადოებაში და ბევრი თავად-აზნაური ითვლება შიღ. საჭიროა ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა, ჩვენც დახმარება გამოვუჩინოთ, რადგან ჩვენც შეგვეხება ეს საქმე.

ბ. შერეთელი. მს საქმე გვარის გამაძლიერებელი საქმეა. ამ საზოგადოებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია მით, რომ ქართველებში სწავლას გაავრცელებს ქართული ენის საშუალებით. ამისგანომ ქართული ენის საქმეც კარგათ წავა. არ უნდა დავიშუროთ ამ საზოგადოებისთვის შემწეობის მიცემა.

თავ. დავ. მიქელაძე. ძარკათ ვიცით ყველამ, რა ცუდი შედეგი აქვს სამშობლო ენის უცოდინარობას. ხშირათ ვხედავთ, რომ, როცა ბაასი რასმეზე ჩამოვარდება, სიტყვა ვერავის მოუბრუნებია ისე, რომ უცხო ენის სიტყვები არ გაუჩიოს. ჩვენთვის სირცხვილია ეს დიდი. მნა გვარტომობის ძალაა და არ უნდა იქნეს უყურადღებოთ დავდებული! (ბრაგო და ტაშის კრა).

შეიქნა გაცხარებული ბაასი კერძობით ორო-ორ—სამ-სამ პირებ შორის. შველანი თანაუგრძნობენ ქართული ენის



სწავლების და გამაგრების ჰაზრს. ბოლოს თავადმა მელოტონ დიანმა ჰსთქვა, რომ ახლა დაერწმუნდით, რომ სასარგებლოა იმ საზოგადოების დახმარება და მიესცეთ სამი ათასი მანეთი.

რამდენიმე სხვადასხვა გამოსტყვა ეს ჰაზრი. შეიქნა საზოგადო ძახილი: „მიესცეთ, მიესცეთ სამი ათასი!“ გადასწყდა: თფილისის „წერა-კითხვის და პირველ დაწყებითი სწავლის გამაგრებელ საზოგადოებას“ გაეგზავნოს 3,000 მანეთი.

(მაგრძელება იქნება)

დღიური

* * * ბუშინწინ, სამშაბათ საღამოს, მაქასიის სამეურნეო საზოგადოებაში ორს საინტერესო საგანზე იყო სჯა: უფ. ნ. ავალიშვილის კვერზე და ახალი სამეურნეო შკოლის პროგრამაზე.

უფ. ნ. ავალიშვილმა წარუდგინა საზოგადოებას თავის კვერის მიხედვით და ამასთანავე შეიტანა თხოვნა, რომ ამ კვერისა და აგრეთვე ყველა სამეურნეო იარაღების საკეთებელად სპეციალური სახელოსნოს გასამართავად მიუშუამდგომლეთო, რომ მთავრობამ ხუთი ათასი მანეთი მოამცეს სესხათაო.

ითქმის ყველა დანსწრე წევრებმა საზოგადოებას ერთხმად სთქვეს, რომ ეს კვერი, უწყველია, ბევრად უკეთესი, უფრო მსწრაფლ გამლენაე და უფრო ცოტა მუშის მომთხოვი უნდა იყვესო, ვინემ ახლანდელი კვერები არისო. მაგრამ ამაში უფრო ნამდვილად დასარწმუნებელად საზოგადოებამ ამოიჩინა კამისია, რომელმანც ეს კვერი საქმეში უნდა გამოსცადოს და შეადაროს ახლანდელ ჩვენებურ კვერს.

რაც შეეხება ხუთი ათასი მანეთის სესხებას, სამეურნეო იარაღებისათვის სახელოსნოს გასამართავად, ამის შესახებ საზოგადოებამ არაფითარი ვარდაწყვეტილი პასუხი არ გამოაცხადა.

პომისიამ, რომელიც ამ ხუთი წლის წინათ იყო შემდგარი სამეურნეო შკოლის გამართვის თაობაზე, წარმოადგინა პროექტი ამ შკოლის პროგრამისა.

ზოგიერთ წევრებმა თითო-ორჯოლა შენიშნა ვაუკუფეს იმ პროგრამას; მაგრამ თვითონ ამ საქმის გადაწყვეტა ვალადეს მომავალ ენკენისთვემდინ, როდესაც სამეურნეო საზოგადოებას საზოგადო წლიური ყრილობა ექნება.

* * * ამბობენ, რომ თფილისიდან ბაქომდინ რკინის გზის გაყვანის საქმე მომავლის წლის მაისში გადაწყდება და იმ წამსვე შეუდგებიან ამ გზის მუშაობასაო.

* * * ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი წერილი შუთაისის საქალებო გიმნაზიის მაგირდებისაგან:

„მოსწავლე ქალები შუთაისის საქალებო გიმნაზიისა უმორჩილესად გთხოვთ,

უფ. რედაქტორო, მისცეთ ადგილი ამ მცირე წერილს თქვენს პატივცემულს გაზეთში:

„მრთს ყმაწვილ კაცს, სახელდობრ უ. ბ. წერეთელს, რომელსაც აქაურ ბანკის კრებაზედ ახალთაობის წინამძღომლობა უკისრია და ბევრი ერთიმეორის შესახებთქი ამბები გამოუჩენია, სხვათა შორის, გვიგონეთ, უთქვამს, რომ წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის ქალებს არაფერი შემწეობა ერგება ბანკის ფულებიდანაო, რადგან იქი და მუდარგისი და უზნეო ქალები გამოდიანო. (ამაზე უარესი სიტყვაც იხმარა თურმე, რომლის თქმა ჩვენ გერცხვენთან).

ჩვენ ვერ დავიჯერებთ, რომ ეს შესაძლებელი იყვეს ვინმე ზრდილი და საზოგადოების პატივის-მცემელი პირისაგან; და ამიტომ მოვიტყვეთ თქვენ „დროების“ რედაქციაში და ვითხოვთ, საქვეყნოდ გამოაცხადოს, რომ ეს ჭორია, რომ მე ამის მსგავსი არა მითქვამს-რამეთქი. თუ არა, მაშინ ჩვენ სრული უფლება გვექნება ვთქვათ, რომ ის ყმაწვილი კაცი არის სრულეზბით გიჟი და ან თვითონ კოჭლობს ზნეობის მხრით“.

მსურველნი ჩვენის დამცირებულის ღირსების გამართლებისა.“

შუთაისის საქალებო გიმნაზიის ქალები

„დროების“ კორამსკონდენცია

ოზურგეთში, 3 მაისს. მეშურები გაცნობოთ ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავი, რომლითაც ეხლა გართულია ყურადღება ჩვენის საზოგადოებისა. მამობ საქალო შკოლის დაარსებაზედ ქ. ოზურგეთში.

ამ ფრიად კეთილს და საზოგადო სასარგებლო საქმეს გულ-მხურვალედ მოჰკიდა ხელი ჩვენმა საზოგადოებამ, რომელმაც იგრძნო აუცილებელი საჭიროება საქალო შკოლისა. ღღეს იყო ამის თაობაზედ კრება გამგებელ კამიტეტის წევრებისა კენიან სოფიო ბურიელის თავმჯდომარეობით. ძრებამ გარდასწყვიტა შემდეგი:

ა) აქაურ ბინადარ საზოგადოებამ და მოვაჭრეებმა შეკრან პირობა ურთი-ერთს შორის, რომ იკისრონ ყოველ წლობითი გარდახდა შვიდას სამოცი მანეთისა, რომელმანც უზრუნველ უნდა ჰყოს არსებობა ერთ-კლასიანი საქალო შკოლისა.

ბ) მაიმართოს ხელის-მოწერა მთელს ბურიანში ერთ დროებით შემოწირვისთვის აღსაშენებლოდ შკოლის სახლისა და

გ) შული, მოგროვილი ხელის-მოწერით 970 მ. გაასარგებლონ ქალაქის დეპუტატების პასუხის-გებით შკოლის გამართვამდე.

შველა ეს დადგენილება კრებისა ადგია იმ გზაზედ, რომ საქმის რიგიანად წასვლაზედ არ გვაქვს ეჭვი. უპირატესნი პირნი ამა საზოგადოებისა, როგორც კენიან სოფ. ბურიელისა, კნ. მაკა წუ-

ლუკიძისა და თ. ოტია დადნაწი-ცხლანდელი მაზრის უფროსნი, მხსნენელობენ ამ საქმეზედ, და ამის შემდეგ მე არა მაქვს სიმართლე ვიქონიო ეჭვი ამ კეთილი საქმის აუსრულებლობაზედ. კნ. სოფიო ბურიელისამ შემოსწირა ერთდროებით ასი მანეთი.

ახლა უნდა ვსთქვა რამოდენიმე სიტყვა, თუ ვინ აღძრა ეს საქმე, და როგორ მოგროვდა ხელის მოწერით ის 970 მ., რომლის გასარგებლება გარდასწყვიტა ღღეს კრებამ. ეს საქმე დაიწყო კენიან ივლიტა მრისთვისამ, რომელმანც გამართა ხელის-მოწერა ქ. ოზურგეთში და მოაგროვა ორ-სამ ღღეში 870 მ. ამ საქმეში მას ეხმარებოდნენ თ. ტიფონაკაშიძე და მისი და ანნა. თუმცა ჩვენი ქალაქი ძრიელ ძუნწია ამ გვარ კეთილ საქმეებისათვის შემოწირვაში და შემწეობაში, მაგრამ ამ შემთხვევაში კი გამოაჩინა დიდი სიუხვე. ეს სიუხვე საზოგადოებისა და მისი ასეთი ყურადღება საზოგადო სარგებლობისდმი გამოწვეულ იქმნა იმ ორ ადამიანისაგან.

ეს იყო ფებერელის დამღვეს, როცა საზოგადო კრებამ ხელის-მოამწერლები-სამ გამოარჩია გამგებელი კამიტეტი და ხაზინადარი. მას აქეთ ღღემდის საქმე მიჩუმებული იყო, რადგანც კენიან ივლიტა მრისთვისა და მისი თანამშრომელები წავედნენ სოფლებში. მაგრამ ეხლა, როდესაც კნ. სოფიო ბურიელი-სა ჩამოვიდა რუსეთიდან და მიიღო თავმჯდომარეობა კამიტეტისა, საქმემ მიიღო ახალი მიმართულება და დაადგა უტყუარს გზას. მისურვებ, რომ კარგი ბოლო მიეცეს ამ კეთილს საქმეს.

მრთი წგვრთავანი

ორიოღე შენიშვნა *)

(წერილი რედაქციაში)

ამ პატიოსან პირთ სრულებითაც არაფერი უშრობიათ, რომ ნამდვილად გავაცნონ ჩვენი ძველი ცხოვრება, გავგვებინონ ათასი კითხვის პასუხი, რომელიც ტრილობს ჩვენს გონებაში. ამას ისინი სრულებითაც არა ფიქრობენ. ისინი თითქმის მტერნია ამ გაცნობისა და გავებისა, რადგანაც სიმართლით გავება ჩამოაცლის ამ ნეტარს წარსულს თავის ღამაზად გამშვენიერებულს, შემკობილს ფარდას და დაგვანახებს ნამდვილს შინაარსს.

მე არ ვამბობ, რომ ძველ დროების შესწავლა საჭირო არ არის, რომ ჩვენ სრულებით არა გვეყვანან მეცნიერულათ მისი შესწავლელნი. მკითხველი მიხედება ჩემს ნამდვილს აზრს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ არაფერი პრინციპი გაღმერთებული და გაბრულებული არ უნდა იყოს, რომ ყველას შეეხებოდეს უწყალო მეცნიერული კრიტიკა;—ჩემი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ, გავებისა და შეძლებისამებრ, უჩვენო მკითხველს, რომ ახალი თაო-

*) „დროება“, № 95 და 96.



ბის ლტოლვილებათა მიზანი, მათი აზრების სიმძიმე უნდა იყოს აწმყოში და უფრო მომავალში, და არა წარსულში; ის უნდა ხელდავდეს იდეალს მომავალში, და არა წარსულში, უნდა ხელდავდეს იდეალს სულ სხვა გვარ მამულის შეილებაში, და არა ლიბერალიზმში და მახტანგებში... წარსული ცხოვრება, როგორც მეცნიერების საგანი, და თვით მეცნიერება, უნდა იყოს მათი გზის მაჩვენებელი და სიბნელის გამნათებელი...

რომ ჩვენ მოღვაწე პირთ გზა-კვალი მართლა არეული აქვთ, რომ იმათ სულ უნაყოფო ჩინ-კედლოება რაღაც შესანიშნავ და მამულის სასარგებლოთ მიანიათ, ამას გვიმტკიცებს ორიოდ ახალი ფაქტი, რომლებს მოხსენება ურიგო და უდროო არ იქნება.

მკითხველებმა იციან, რომ ამას წინათ გარდაცვალა შუთაისის აზნაურების ბანკის თავმჯდომარე ბ. ლოლაბერიძე. ამაზედ ბევრი აყალ-მაყალი ასტუხეს, ბევრი უცრემლოთ იტირეს, ბევრი იოხრეს და ივადეს. ბაკი, რომელსაც საქართველო სრულებითაც არ იცნობდა, გარდა მისი მეგობრებისა და ნათესავებისა, ერთს დღეს განადგინეს ის საქართველოს გენიოსათ.

„ლოლაბერიძე ეკუთვნოდა 60 წლების რუსეთის ახალთაობას“. „მას გულში ჰქონდა ის წმინდა ნაღვერდული ქვეყნის სიყვარულისა, ხალხის ტრფილებისა, კაცთა მოყვარებისა, რომელთაც ღმერთი მიანიჭებს ხოლმე მართო თვისთა რჩეულთა და რომელიც ამ სუსტ ორფხვ ცხოველს ადამიანს სასწაულს აქმნევინებს ხოლმე. ღიან, ის იყო ღეთისგან რჩეული კაცი. მიცი, ჩვენო ერთგულთა და უანგარო მუშაკო, რა ტკივილიც გაიყოლე საიქიოს; ვიცი, რა იმედი გინელდა იმ წვავს ტკივილსა, რომელიც გავიძლიერდებოდა ხოლმე, როცა ავი რამ მოვლოდდა შენს ქვეყანას, ისე უანგაროთ და თავ-განწირვით შენგან შეყვარებულსა, როცა რაიმე უბედურება შორიდამ თუ ახლო შენისლად ზედ დასტრიალებდა შენს ხალხს, რომელსაც შენ შესწირნე შენი უკეთესნი დღენი. ამის დამწერი ერთი იმათგანია, რომელსაც შენ დაავალე და ჩაახედე შენს გულში. ჩავინედე და ჩემი უტყუარი, პირუთენელი გამკითხველი იქ ვიპოვე შენდა უნებურად“ და სხ.

მე არ ვიცი რას ფიქრობს მკითხველი, მაგრამ როცა ამ ადგილს ვკითხულობ, ჩემს თავის სარქველს ბევრი კითხვები მაწვებინა ხოლმე, ჩემი გული აირევა და აღმღრვება ხოლმე. „ნეტა ვინ არის ეს პირი, ვფიქრობ მე, რომელიც მთელი საქართველოს პირით შესწმას ეუბნება თავის მეგობარს, საიღამ აულია მას „ხალხის განაჩენი“, ვის მიუცია მისთვის ეს „განაჩენი“ და შუამდგომლობის უფლება?..“

ღავიწყოთ იქიღამ, თუ რაში მდგომარეობდა განსვენებულის კუთვნილება ახალი თაობისა, ღობროლიუბოვის თაობისა; რაში გამოჩნდა ეს კუთვნილება, სად არის ამისი შესამოწმებელი მასალები, ერთის სიტყვით, რით გამოიჩინა

ბ. ლოლაბერიძემ, რომ ის ეკუთვნოდა მოხსენებულ ახალ თაობას?—რაში გამოჩნდა იმ „ნაღვერდლის ძალა, რომელსაც ღმერთი მიანიჭებს ხოლმე კაცს და სასწაულს აქმნევინებს“?—რა „ტკივილი გაიყოლა იმან საიქიოს“, რაში სჩანდა ამ ტკივილის შედეგები და რა არის ეს „უანგარო მუშაობა“?—ნეტა რა ჰქონდა ზემოთ სიტყვების დამწერმა იმ გულში, რომელშიაც ჩაიხედა?—ამ გვარს კითხვებს ბოლო არ ექნება, და ამ კითხვების პასუხი მე ვერ მიპოვნია. თუ ყველა მაღალი, ღეთისგან, ჩადებული ნაღვერდული ენთებოდა მართო ოთახში, ამ ოთხ-კედლიან პოზიციაში, თავის მეგობრებთან ნადიმში, ვისთვის და რისთვისაა საჭირო და სასარგებლო ან ეს „მოქმედება“ და ან ნაზედ ბევრი ბაასი საქვეყნო ღ? იქვე, ოთახში იამბეთ, მოიგლოვეთ, მოიტირეთ და ამითი გაათავეთ საქმე. რისთვის გინდათ ტყუილის და სიტყუის ლაპარაკი,—ან მართლა ფიქრობთ, რომ ის იყო ღეთისგან მოვლინებული, გულში ნაღვერდლის მექანი და უანგარო მოქმედი შეილი მამულისა? იქნება ამითი გინდათ, რომ შექმნათ იმ გვარი საზომი და საწონი კაცის მოქმედებისა, რომელიც თქვენთვისაც სასარგებლო და გამოსადეგი იქნება? ან იქნება ამითი ჯაფრს ვიზედმე ჰყრილობთ, აღშფოთებული გულის ნაღველს იმშვიდებთ?—მაგრამ ეს როდი ვარაგა.

რაც უნდა იყოს, გაივლის რამდენიმე წელი; ახალ საფლავს მიმალავენ სხვა-და-სხვა გვარი ეკლიანი მცენარენი; მის მხსენებელი აღარავინ იქნება, გარდა გულ-დაკოდილი მამისა, თუ მისნი დღენი იქამდის მიხსწევენ; თვით ჰინაიშის მცხოვრებნიც გარს შემოაუფლიან სასაფლაოს, ამოაბრუნებენ მის გარშემო გუთნით მიწის კვლებს, დააგუფუნებენ „ოროელას“. მისმე ჩვენი მომავალი თაობათგანს, რომელიც თვალს გადაავლებს თავის წინამსვლელთ წაშრომს, მოხვდება ხელში ამ გვარი შესხმის წიგნები; ის გადაუბრავს მტვერს და ამოიკითხავს ზემოთ მოყვანილ ალაგს. მახარებული და გაშტერებული ეცემა ჯერ მწერლობას, და როცა იქ ვერაფერს იპოვნის, მიმართავს მოხუცთა, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ მის მოთხოვნილებას, ან ეტყვიან იმას, რაც თითონ წიგნში ეწერება:

„მაგვიგონია, რომ პატროსანი და ფრთხილი ჩინოვნიკი იყოვო; პატრივიც კარგი ჰქონდაო, ჩინიც და ჯამაგირიცაო. მერე თურმე გახდა აზნაურთა ბანკის გამგებელი და მას შეაკლა თავიო. ბარგი და გულკეთილი კაცი თურმე იყო, მაგრამ ილიკო ჩოლაყაშვილისთანა სხელოვანი კი არ იყო, ამას ლექსებიც გამოუთქვეს და მთელმა საქართველომაც მართლა იგლოვა, როდესაც ლოლაბერიძის სახელი მეტად მცირედმა ნაწილმა იცისო.“

იგლოვა, რასაკვირველია, არამც თუ მიტომ, რომ იცოდა ჩოლაყაშვილის ნამდვილი მნიშვნელობა, არამედ მიტომ, რომ ის იყო ჩინიანი კაცი, თავადი, იმა-

ზედ სწერეს და ილაპარაკეს მწერის მიტომ კიდე, რომ ის შეკვდა მტერს მტრის მისი მომგვლენი მეტად გულ-ჩვილი, გულ-კეთილი არიან, მომკვლარის შეწყალება იციან; იმათა აქვსთ წმიდა გრძობანი, მაგრამ გონება კი სუსტად განხნილო, რომ გაშიწვონ, შეიტყონ, დააფასონ კაცის მოქმედება და გაიგონ, ვინ არიან მისი ნამდვილი მეგობარნი, მისი ნამდვილი, უანგარონი და უჩინონი შეილინი..

ლოლაბერიძე იმგლოვეს ორიოდ სამამა კორრესპონდენტმა თფილისის სამაზროდამ თავიანთ კორრესპონდენტებში, იგლოვეს მის მეგობართა ქალაქებში, იგლოვეს მის ნაშაგირდართა და ნაამხანაგართა, იგლოვეს შუთაისის თავად-აზნაურთა, და ამ გლოვაზედ ცუდის თქმა უგუხურება იქნება: ვის აქვს უფლება, რომ მეგობრულ გულის ტკივილს წინ აუდგეს. მაგრამ მას არ იცნობდა ქართული გლენობა, და თუ გაიცნო როდისმე, ვფიქრობ, გლოვის ღირსს სრულებითაც არ განდის... და უგუხურება, უსინიდისობა იქნება, ვინც ამ ქართველის გლენობის სახელით და მისი პირით გლოვას გამოაცხადებს.

მე სრულებითაც არ შეუდგები განსვენებულის მოქმედების გაშიწვას, რადგანაც ამას ავრე შესანიშნავად არა ვრაცხ, რადგანაც მაშინ მომინდება ყველა ჩვენებური შკოლების ღირეტიკორების მოქმედების გაშიწვა, რომლებთა შორის ახლანდელი, მაგ., მისი ადგილის მჭერელი, თფილისის გუბერნიის შკოლების ღირეტიკორი სრულებით მიმალავს მას თავისი მოქმედებით, თავისი სარგებლობით. მე დარწმუნებული ვარ, რომ განსვენებული ყოფილიყო შარშანდელი მასწავლებელთ კრების ხელმძღვანელი, საქმე უფრო ცუდათ წაიდოდა, ის ვერ გაბედავდა მის თქმას, რაცა სთქვა კრების ხელმძღვანელმა... მის გულში რომ ათასი ნაღვერდული ღუბუბულიყო, ის ცხადს, პრაკტიკულს ცხოვრებაში თავის მოფიქრების წყალოს დაასხავდა და ჩაანელებდა ან სრულებითაც ჩააქრობდა, და შემდეგ იქნება მეგობართ წრეში შეუყეთებდა ცეცხლს და გააღუებდა ამ თავის ნაღვერდლებს. მათ შორის ბევრს იკენესდა, ბევრს ითმენდა და იოხრებდა, ბევრად აიტკივებდა გულს, ჩაახედებდა ამ გულში ვისმე სხვასაც; ყველა ეს მეგობარნი მას ბანს მისცემდნენ, ისინიც იგმენდნენ—და ბოლოს ერთხმად გადასწყვებოდა: სი ფ რ თ ხ ი ლ ე! — არ შეუდგები მის მოქმედების გაშიწვას, რადგანაც მაშინ მომინდება ბაასი თავად-აზნაურთ ბანკებზედ და მათ საქართველოსთვის მნიშვნელობაზედ; მომინდება ლაპარაკი ბანკების გამგებლებზედ, რომლებიც არიან ახლა და იქნებიან მომავალშიაც, და მათ უანგარო მოქმედებაზედ.

რაც უნდა ბევრი ვილაპარაკო ამ საგნებზედ, მაინც წყუული კითხვებით დამიბოლოვდება: რამდენათ შეუძლიან და რამდენათ აღადგინეს ბანკებმა საქართველოს მეურნეობა, რამდენათ მისცეს მათ საქართველოს ხალხს მამულების გაუმჯობესების სახსრები.



მე ამ კითხვას ახლა თავს მივანებებ, მაგრამ არ შემოდინან არ მივაქციო მკითხველების ყურადღება ერთ შემთხვევას, რომელიც შეეხება ჩვენ თავად-აზნაურთ ბანკს. ბანკებში იყო მოხსენებული, რომ ამ ცოტა ხანში უნდა მოხდეს საზოგადო კრება თავად-აზნაურთა ბანკის თაობაზედ. ამბობენ, ვითომ ახლანდელ ბანკის გამგეობას უნდა, რომ შეცვლიდნენ კანონი შესახებ დამფუძნებელი კომისიის ამორჩევისა, — უნდა, რომ ამორჩევის უფლება ჩამოერთოს საზოგადო კრებას და ჩაჰბარდეს ბანკის გამგეობას (*). მე ამითი სრულდებოდა არ ვფიქრობ გამგეობის გაცდინებას, და არც შემოდინან ამანდ ბევრი ვილაპარაკო, ჯერ მითომ, რომ არ ვიცი საბუთები, რომელზედაც აფუძნებს გამგეობა თავის წინადადებას, მეორეთ მითომ, რომ ჩემის ფიქრით, სულ ერთია — ექნება ეს უფლება საზოგადო კრებას, თუ გამგეობას; მე კიდევ მგონია, რომ ურიგო არ ექნება კრებამ ჩაბაროს გამგეობას არამც თუ ეს უფლება, არამედ მთელი ბანკიც: ამითი ბანკის დაწესებულთ შემუშავებულთ ხარჯი — აღარ მოუწდება ქალაქში ბანკის თაობაზედ სიარული; მესამეთ მითომ, რომ ამ უფლების ჩამორთმევა საზოგადო კრების სრულებითაც არ არის „თვითმმართველობის“ ფორმის შემოკლება, როგორც შეუძლიან იფიქრონ იმათ, ვისაც წაუკითხავს „სხოვერება და ძანონი“ ილია ჭავჭავაძისა. ჩემის ფიქრით, ნამდვილი პრინციპი „თვითმმართველობისა“, როგორც ისტორია გვიჩვენებს, მდგომარეობს იმაში, რომ მმართველობა ჩამოერთოს სიმრავლეს და ჩაჰბარდეს მცირეს, ასე რომ აქ უაღრესად ღრამბატეულ შეცდომილება ში: „თვითმმართვერათ უნდა იყოს „სხვით“; მაშინ გამოვა, რომ თვითმმართველობა — არის სხვითმმართველობა...

*) დაწერილია ბანკის კრებამდინ.

მაშასადამე, აქ არავითარი პრინციპის დარღვევა არ არის, ასე რომ მე ურჩევდი ილ. ჭავჭავაძეს ახლო რეჩი არ შეეთხუზა თავის პროექტის დასაცველოდ, არამედ აეღო მესამე და მეოთხე წერილები თავის თხზულებისა და წაეკითხა საზოგადო კრებაში. იქ იმისთანა შეურყეველი საბუთებია, რომლებაც შეუძლიან დამტკიცონ საფუძვლიანათ სიმართლეთ წინადადებისა, უარი ათქმევიზონ კრებას თავიანთ უფლებებზედ და ჩააჩუმონ მისი მოწინააღმდეგენი...

დაახ, მე მოგახსენეთ ზემოთ, რომ ჩვენი მოწინავე კაცი იმისთანა მოქნილი და გარწეხილი ორფეხი ქმნილებია, რომელსაც შეუძლიან თავისი ნათურების მეორეთ და მესამეთ ალოკა.

ბ. შთერგული

27 აპრილს.

(დასასრული)

ტელეგრაფები

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

ბერლინი, 5 მაისს. ნემეცურს ვახეთს „ნორდლიტზე ალგემინე სეიტუნგში“ დაბეჭდილია „მოსკოვის უწყებების“ წინააღმდეგ შემდეგი სტატია: „ჩვენთვის გერმანიელებისათვის, ის როდი არის სამწუხარო, რომ რუეთი ვითომც კარგ ეკონომიურს მდგომარეობაშია, არამედ ის, რომ ბერმანიაში მეურნეობის დაცემა. რუეთიდან ბერმანიაში უბაჟოთ შემოაქვს საქონელი; რუეთი კი ჩვენს საქონელს უბაჟოთ არ უშვებს თავის საზღვარში. უკანასკნელი წლების განმავლობაში, ჩვენ ათ გვიანახავს, რომ რუსულს ვახეთებში კარგი რამ თქმულიყოს ბერმანიაზედ; ჩვენის მხრით კი რუსეთს მუდამ თანაგრძობას უცხადებდით.

ბერნი (შვეიცარია), 7 მაისს. ლუგანოს კანტონში სახალხო კენჭის-ყრა

იყო სიყვდილით დასჯილ ქალაქად აღდგენაზე; 166,000 რუბლზედ ქალაქის და 132,000 წინააღმდეგი. იურისა და ძალისის კანტონებში, როგორ გადაწყდა საქმე — ჯერ ამბავი არ მოსულა.

ოდესსა, 6 მაისს. დღეს დილით მოვიდა აქ ბოლოგარის მთავარი და სალამოს მენაში წავიდა.

სტამბოლი, 7 მაისს. ხონთქარმა დამტკიცა აღმოსავლეთ რუმელიის ახალი მმართველობის წესი.

პეტერბურლი, 7 მაისს. ძანტლერი თ. ბორჩაკოვი ახლა უკეთ არის. რუსეთის ტახტის შემკვიდრეთ თანახმაა, რომ ჩერნოგორიის მთავარს შევილი მოუწათლოს.

პეტერბურლის ბირჟა, 7 მაისს. (ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	97—72
მეორე —	96—12
მესამე —	96—
მეოთხე —	96—12
აღმოსავლეთის პირ. —	99—87
აღმოსავლეთის მეორე —	94—
რუბლ, 1/2 იმპერიალი —	8—64
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი —	—
შინაგანი ¹ , სესხის ბილეთები	მან. კაპ.
პირველი სესხის —	243—
მეორე სესხის —	237—75
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი —	23—
პენსი	
ამსტერდამი —	115 62
ბერლინი —	194
პარიზი —	242
სანტიმი	
ბაგკასიის კრასინი —	—

რ. ბ. შ.	დ. ლა.	ს. ლა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაპ.	ვახანდა	მან. კაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი	9 21	5 18	კაპ. 11	კაპ. 11	მ. ცი სიტყვა	მთლილი	9 მაისს.		მრეწვ. ს. მადანზე, წამმდგაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ძვესების აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	50	შქვ. თეთ. მანჯისა, ფთ.	2	აეთამყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დღის 9 საათიდან 1-მდინ.
ბორი	11 58	9 43	3	1 53	როსტოვი, მ. დესას, მოსკოვი	2	მეტი ფუთი	1 20	მ. რ. შაბათს: მერმიშვილი და ბა-რ. ლევიჩი — შინაგ. ავთა., მიუჩა-რონც — ქალის ექიმი და სამეი-ლოსნოს ოპერაციები.
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	პეტერბურდს, მარშევის	2	ბაშა მრეწვისა, ფუთი	7 20	ს. ვ. შაბათს: მერმიშვილი — ში-ნაგ. ბ. ბახტოვი — საბებიო და ბაგ-შვის. პეტროვი — თვალის.
სურამი	1 44	4 90	2 61		მსმალ. თში, შეცვ. რაში.	3	— აშერიკისა, ფუთი	8 40	მ. თ. შაბათი: მერმიშვილი ში-ნაგ. ავთამყოფობის.
ქვირილი	5 49	7 21	3 69		იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბაპენტალი ბ შაბათი ფუთი.	9 60	ს. ხუთ შაბათს: მერმიშვილი — ში-ნაგ., მიუჩარინცი — რდილიტიკუ-რი და საშარდ ორგანების.
რიონი	6 57	8 44	4 31		ინგლისში.	3 75	მატყლი თუშური ფუთი.	6 20	პ. რას კევს: მერმიშვილი — შინაგ., ბ. ბახტოვი — საბებიო, ქალისა და ბაგ-შვიების.
სამტრედია	7 51	9 66	4 93				— მარაქამისა ფუთი	3 70	ა. ბახტოვი — საბებიო, ქალისა და ბაგ-შვის.
ახალ-სენაკი	8 43	10 71	5 47				აბრეშუმი ნუხური სტ.	2 10	მ. თ. შაბათი: მერმიშვილი ში-ნაგ. ავთამყოფობის.
ფოთი	9 50	12 24	6 26				ქონი, ფუთი	5 80	ს. ხუთ შაბათს: მერმიშვილი — ში-ნაგ., მიუჩარინცი — რდილიტიკუ-რი და საშარდ ორგანების.
ფოთი	9 3						ქონის სანთლი ფუთი	7	პ. რას კევს: მერმიშვილი — შინაგ., ბ. ბახტოვი — საბებიო, ქალისა და ბაგ-შვიების.
ახალ-სენაკი	10 14		1 53	78			სტეარინის სანთლი, ფთ.	12 50	ა. ბახტოვი — საბებიო, ქალისა და ბაგ-შვიების.
სამტრედია	11 5		2 61	1 33			ხორცი ძროხისა, ლიტ.	90	ს. ხუთ შაბათს: მერმიშვილი — ში-ნაგ., მიუჩარინცი — რდილიტიკუ-რი და საშარდ ორგანების.
რიონი	12 13		3 84	1 97			— ცხვრისა, ლიტრა	1 8	პ. რას კევს: მერმიშვილი — შინაგ., ბ. ბახტოვი — საბებიო, ქალისა და ბაგ-შვიების.
შვრილა	1 18	ლაგ. 5	3 256				სპირტი ვედრო	4 50	ა. ბახტოვი — საბებიო, ქალისა და ბაგ-შვიების.
სურამი	5 12	1 10	7 34	3 74			შაქარი, ბროც. ფუთი	7 30	ა. ბახტოვი — საბებიო, ქალისა და ბაგ-შვიების.
ხაშური	5 39	1 37	7 51	3 84			— ფხვნილი ფუთი	5 60	ა. ბახტოვი — საბებიო, ქალისა და ბაგ-შვიების.
ბორი	7 5	4 89	24 4 73				შავა გრვალი, გირვ.	65	ა. ბახტოვი — საბებიო, ქალისა და ბაგ-შვიების.
მცხეთა	8 50	6 59	11 39	5 82			ხეტი ქუჩაჯუთისა ფუთი	11 80	ა. ბახტოვი — საბებიო, ქალისა და ბაგ-შვიების.
თფილისი	9 31	7 56	12 24	6 26			თამბაქო, საშუ. ლო. ფთ.	7 3	ა. ბახტოვი — საბებიო, ქალისა და ბაგ-შვიების.